




მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების
დოკუმენტი
(პირველი ვარიანტი)

მცხეთა

2026 წელი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქ.თბილისი, დასავლეთით - კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - გარდაბნის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი. მცხეთის მუნიციპალიტეტის ფართობია - 723,2 კმ². აქედან - ქ. მცხეთას უკავია - 50,13 კმ². მანძილი ქალაქ თბილისის ცენტრიდან ქ. მცხეთის ცენტრამდე - 22 კმ-ია. ქ. მცხეთა ზღვის დონიდან 480 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 ქალაქს, 62 სოფელს და 1 დაბის ტიპის დასახლებას - ზაჰესი, პლატინის ქუჩა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 24 ადმინისტრაციულ ერთეულში. მცხეთის მუნიციპალიტეტში შედის 20 მაღალმთიანი სოფელი. მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 50700 პირი, აქედან ქალაქში - 8316 (მ.შ. 3889 კაცი, 4427 ქალი) პირი, ხოლო სოფელში - 42384 (მ.შ. 20103 კაცი, 22281 ქალი) პირი; მუნიციპალიტეტში მდებარეობს იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალრიცხოვანი დასახლება სოფლებში: წეროვანი, წილკანი და ფრეხეთი; იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობაა 9898.

მოსახლეობის 16% ცხოვრობს ქ.მცხეთაში, ხოლო სოფლად 84%. მამაკაცები მოსახლეობის 47 %-ს შეადგენენ, ხოლო ქალები - 53 %-ს. ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობა შემცირდა 19%-ით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 29 წევრისგან. მათგან 21 არჩეულია პროპორციული, ხოლო 8 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. საკრებულოში შექმნილია 3 ფრაქცია და 5 კომისია: სამანდატო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ქონების მართვის კომისია, ინფრასტრუქტურის კომისია.

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 42 % (26817 ჰა) ტყის რესურსებია. აქ ძირითადად ფოთლოვანი ტყეებია გავრცელებული. ტყის ნაწილი თბილისის ეროვნული პარკის ფაგრლებშია მოქცეული.

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩამოედინება 5 მდინარე საერთო სიგრძით 662 კმ. ძირითადი წყლის არტერიებია: მტკვარი (საქართველოს ტერიტორიაზე გაჭიმულია 390 კმ, ხოლო მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 40 კმ; არაგვი (საერთო სიგრძით 112 კმ, აქედან მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში 35 კმ; ქსანი (საერთო სიგრძე 84, მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში 10 კმ; ნარეკვაი (საერთო სიგრძე 47 კმ, აქედან მცხეთის

მუნიციპალიტეტის საზღვრებში 15კმ; თეზამი (საერთო სიგრძე 28 კმ. მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებშია მოქცეული 14 კმ), ასევე მუნიციპალიტეტის საზღვრებში გაედინება მდ.ხეკორძულა (სიგრძე 12, 8 კმ), დიდმის წყალი (სიგრძე 22 კმ). სათავეს იღებენ საწვეპელას ქედიდან, საზრდოობენ თოვლის ან წვიმის წყლებით. წყალდიდობა იცინა გაზაფხულზე, წყალმცირება ზამთრის პერიოდში. მუნიციპალიტეტში არის ტბებიც - ჯვრის, ჭილის, წოდორეთისა და მუხათგვერდის. მოიპოვება არტეზიული წყლებიც.

მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ამიერკავკასიაში პირველი ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი (აშენებულია 1924 წელს).

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი წიაღისეული: სასმელი წყალი, ცეოლითი, ქვიშა/ ხრეში (სოფ. ძეგვის, ციხისძირის მიდამოებში), კირქვა (სოფ. სასხორის მიდამოებში); ქვიშა (სოფ. წიწამურის, ნიჩბისის, საგურამოს მიდამოებში), სააგურე თიხა (სასხორის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე), ოქროს შემცვლელი ქვიშები (თეძამის ხეობაში მდ. ბერების ხევიდან მდ. არაგვის შესართავამდე 15 კმ. მონაკვეთში).

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები - თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი), მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი); შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიური, ნარეკვაი-მცხეთა-რკინიგზის სადგური (6.4 კმ), ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევიგორის ს/გზის კმ 25 წინარეხი-ქვათახევი, წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია (20.8 კმ), მცხეთა-შიომღვიმის მონასტერი (11.4), ნატახტარი-წილკანი-მუხრანი (16.1 კმ), ზაჰესი-ჯვრის მონასტერი (6,7 კმ), ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 645.6 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, აქ გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი - 45 კმ.

მცხეთის მუნიციპალიტეტს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის და დედაქალაქთან სიახლოვის გამო, მნიშვნელოვანი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა და პერსპექტივა გააჩნია. აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 12 უმსხვილესი გადამამუშავებელი საწარმო და ძლიერი კერძო სექტორის სხვადასხვა აგროკონსორციუმი, სამაცივრე და შესაფუთი მეურნეობა, 50 - მდე მუდმივად მოქმედი რესტორანი, 18 კაფე, 12 სილამაზის სალონი, კულტურის ცენტრი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი. მუნიციპალიტეტში განვითარებულია გადამამუშავებელი მეურნეობა, მომსახურების სფერო და ვაჭრობა. ეკონომიკური განვითარების ძირითადი სექტორებია: მრეწველობა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მომსახურება და ვაჭრობა, საშენი მასალების წარმოება. მრეწველობა წარმოდგენილია ღვინის, ლუდის, მინის ქარხნების, სამაცივრე მეურნეობის, საწყობების, საშენი და ინერტული მასალების საწარმოებით. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 11 000 ადამიანს (აქედან ქალი - 4000, კაცი -7000). ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა დაახლოებით 10 200-ია. საექსპორტო პროდუქტია: ღვინო, ლუდი, ტკბილეული, ჩირეული, წყალი, შუშის ნაწარმი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 სსიპ საჯარო სკოლა: 28 სახელმწიფო, 2 კერძო. სულ მოსწავლეთა რაოდენობაა - 8024, კერძო სკოლაში სწავლობს 257 მოსწავლე, სახელმწიფო სკოლაში - 7767 მოსწავლე;

მცხეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვანი ძეგლებით, დღევანდელ მდგომარეობაში ვიზიტორთა უმრავლესობა ძირითადად კონცენტრირებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის მქონე ქალაქი მცხეთის რამდენიმე ყველაზე ცნობილ ღირსშესანიშნაობაზე, ტურისტები უმეტესად სტუმრობენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს, სამთავროს მონასტერსა და ჯვრის მონასტერს, რომლებიც საქართველოს მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრებია. ასევე, მაღალია ვიზიტორთა ინტერესიც შიომღვიმის მონასტრისა და ზედაზნის სამონასტრო კომპლექსის მიმართ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ობიექტი, რომლებიც ტურისტული პოტენციალის მიუხედავად შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. ასეთ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ძალისას ნაქალაქარი, არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური კომპლექსი, პიტიახშების სამაროვანი, ასევე ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სხვა ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლები.

მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“. ქ. მცხეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულია 2 საავადმყოფო, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ და 16 ამბულატორია სოფლებში. მომსახურება მიეწოდება 54000 ბენეფიციარს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და მათი რაოდენობა და მოცულობა მზარდია. 2026 წელს მუნიციპალიტეტში სოციალური შემწეობის მიმღები იყო 2104 ადამიანი, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 36%-ია. ეს მონაცემი ბოლო წლების განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. პენსიონერთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 17%-ია, მათი რიცხვი წლების განმავლობაში გაზრდილია. მუნიციპალიტეტში 0-დან 18 წლამდე - 176, 18 წლიდან - 315 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, მარჩენალდაკარგული - 280 ოჯახია. მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს სოციალურად დაუცველი ოჯახების უსაფრთხო და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაზე. მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეებისთვის მოქმედებს უფასო სასადილო;

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2027-2030 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2027-2030 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის

მიხედვითაც განისაზღვრა მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში.

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ათასი ლარი						
დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	64,561.0	50,514.8	56,094.0	61,778.8	65,997.8	69,214.7
გადასახადები	38,146.3	38,611.2	43,639.0	49,923.8	53,992.8	57,009.7
გრანტები	10,603.0	3,543.6	310.0	-	-	-
სხვა შემოსავლები	15,811.7	8,360.0	12,145.0	11,855.0	12,005.0	12,205.0
II. ხარჯები	43,743.7	57,633.3	56,536.6	60,558.8	63,358.6	64,049.6
შრომის ანაზღაურება	5,644.8	7,275.0	7,940.0	8,481.0	9,146.0	9,797.0
საქონელი და მომსახურება	9,975.6	15,243.8	7,357.0	9,515.2	9,810.0	9,410.0
სუბსიდიები	24,223.7	28,115.3	36,077.6	36,880.6	38,510.6	38,940.6
გრანტები	192.0	142.0	142.0	142.0	142.0	142.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,491.1	1,807.1	1,880.0	2,190.0	2,400.0	2,410.0
სხვა ხარჯები	2,208.4	5,050.2	3,140.0	3,350.0	3,350.0	3,350.0
III. საოპერაციო სალდო	20,817.3	-7,118.5	- 442.6	1,220.0	2,639.2	5,165.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	- 3,856.4	55,292.1	- 442.6	1,220.0	2,639.2	5,165.1
ზრდა	24,001.3	57,492.1	1,757.4	3,220.0	4,639.2	6,915.1
კლება	27,857.6	2,200.0	2,200.0	2,000.0	2,000.0	1,750.0
V. მთლიანი სალდო	24,673.7	- 62,410.6	0.0	-	-	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	24,485.1	- 62,410.6	-	-	-	-
კლება	-	62,410.6	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	62,410.6	-	-	-	-
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2027-2030 წლების შემოსულობების პროგნოზი

2027 წლისთვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 58 294,0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 56 094,0 ათასი ლარი იქნება, მათ შორის, გადასახადები - 43 639,0 ათასი ლარი (მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადი - 25 139,0 ათასი ლარი, ქონების გადასახადი -

18 500,0 ათასი ლარი), სხვა შემოსავლები - 12 145,0 ათასი ლარი.

2027 წლისთვის არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა შეადგენს 2 200,0 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

გასული 2025 წლის და მიმდინარე 2026 წლის (6 თვის მონაცემებით) ბიუჯეტის შესრულება

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	ათასი ლარი	
	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი
შემოსულობები	52,860.9	92,418.6
შემოსავლები	51,860.9	64,561.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	27,857.6
გადასახდელები	100,553.9	67,933.5
ხარჯები	52,343.3	43,743.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	48,022.1	24,001.3
ვალდებულებების კლება	188.6	188.6
ნაშთის ცვლილება	-47,693.0	24,485.0

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 47 693,0 ათას ლარს შეადგენდა.

2025 წელს ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 24 485,0 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 52 860,9 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 92,418.6 ათ.ლარი, ანუ გეგმის 174,8% .

შემოსავლის სახეები	2025 წლის გეგმა	2025 წლის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულე ბის %
შემოსულობები, სულ	52,860.9	92,418.6	39,557.7	174.8
შემოსავლები	51,860.9	64,561.0	12,700.0	124.5
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	27,857.6	26,857.6	2,785.8

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 51 860,9 ათასი ლარი, ფაქტობრივად 64 561,0 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 124,5% და მთლიანი შემოსულობების (92 418,7 ათასი ლარი) - 69,9% შეადგინა.

2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (59 491,7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 5 069,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მოზილზებულია 38 146,3 ათასი ლარი, 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (30 611,5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 7 534,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 22 299,7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 16 184,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 1 625,3 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 4 443,1 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 17 490,9 ათასი ლარი) შედარებით საანგარიშო პერიოდში 4 808,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის (2024 წლის ფაქტი - 12 643,3 ათასი ლარი, 3 541,6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 15 846,6 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (13 120,6 ათასი ლარი) შედარებით 2 726,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. გრანტების სახით საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია - 10 603,0 ათასი ლარი, გეგმის - 12 400.0 ათასი ლარის - 85.5% , მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი - 940,6 ათასი ლარი, მათ შორის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 291,2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N302 30.07.2025წ.) - 244,3 ათასი ლარი; (მთავრობის განკარგულება N146 24.01.2025წ.) - 405,1 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის ჩარიცხულია 6 474,4 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულება N1955 16.01.2025 წ.).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისთვის (მთავრობის განკარგულება N53 16.01.2025წ) - 846,0 ათასი ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის (მთავრობის განკარგულება N1207 30.07.2025წ.) - 450,4 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის (მთავრობის განკარგულება N186 30.01.2025 წ.) - 1 285,2 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან (მთავრობის განკარგულება N517 21.03.2025 წ.) - 300,0 ათასი ლარი;

კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების მიზნით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - 306,5 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულებები N1098 09.07.2025წ. და N1604 30.09.2025წ.).

3. საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლების**ათვის განსაზღვრული 7 430,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 15 811,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 212,8%-ია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (12 827,0 ათასი ლარი) შედარებით 2 984.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული.

საანგარიშო პერიოდში **სხვა შემოსავლების** ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 162,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 780,0 ათასი ლარი) 293,6%-ია. (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 6 475.9 ათასი ლარი - შედარებით 1 686.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული):

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 6 202,5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 4 257.0 ათასი ლარი - შედარებით 1 945.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული)

რენტის სახით მიღებულია 1 960,2 ათასი ლარი, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 1 611,1 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 349,1 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 258,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი მიღებული).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 1 995,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 650,0 ათასი ლარი) 120,9%-ია, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 2 367.1 ათასი ლარი - შედარებით 372.0 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი მიღებული):

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 1 905,6 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 1 124,3 ათასი ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 764,3 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 17,0 ათასი ლარი.

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან 89,5 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან .

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 5 480,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 000,0 ათასი ლარი) 182,7%-ია, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 3 866.8 ათასი ლარი - შედარებით 1 613.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული): საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 4 455,1 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 191,0 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 834,5 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 173,3 ათასი ლარი, (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან - 117.2 ათასი ლარი - შედარებით 56.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული):

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 88,5 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,0 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 32,9 ათასი ლარი; ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი - 1,3 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანიდან - 49,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 27 857,6 ათასი ლარის შემოსავალი (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5 133,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 198,5 ათასი ლარი (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4 486,7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული): შენობა-ნაგებობები - 173,0 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარები - 25,5 ათასი ლარი;

არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 27 659.1 ათასი ლარი. (2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9 603,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული).

ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების კლება სახეების მიხედვით	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულ ება, %
არაფინანსური აქტივების კლება	1,000.0	27,857.6	26,857.6	2,785.8
ძირითადი აქტივები	200.0	198.5	- 1.5	99.2
არაწარმოებული აქტივები	800.0	27,659.1	26,859.1	3,457.4

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2025 წელს გადასახდელების შესრულების 67.6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელზე (81,1%) ნაკლებია, ხოლო თანხობრივად, 2024 წელთან შედარებით, დახარჯულია 2 600,8 ათასი ლარით ნაკლები.

2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 100 553,9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 67 993,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 68%. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 52 343,3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 43 743,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 84% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 64,4%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 48 022,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 24 001,3 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 50% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 35,3%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 188,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 188,6 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 100% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.3%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 43 743,7 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6 340,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5 644,8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 89%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 12,9%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 14 539,9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 9 975,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 68,6%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 22,8%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8,1 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 8,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 0,02%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 25 349,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 24 223,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 55,4%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 192,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 192,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 0,4%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 607,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 491,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 3,4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4 306,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 2 208,4 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 51,3%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების (43 743,7 ათასი ლარი) 5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის

კოდების მიხედვით

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათასი ლარი		
		2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	205.5	120.3	58.6
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	42,046.5	21,512.8	51.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,801.8	547.0	30.4

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულ ება, %
04 00	განათლება	993.2	351.7	35.4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2,968.4	1,462.8	49.3
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6.6	6.6	99.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	48,022.1	24,001.3	50.0

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 8 099,1 ათასი ლარი, გეგმის (9 886,0 ათასი ლარი) 81,9%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 12%-ს.

ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 32 079,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21 860,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 68,1%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს - 32,3%-ს.

აღნიშნული სფერო მოიცავს გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთების, გზების კაპიტალური შეკეთების, გზების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარების, სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამების დაფინანსებას.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 6 229,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 397,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 70,6%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 6,5%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია დასუფთავება და ნარჩენების გატანის, მწვანე ნარგავების გაშენების და მოვლა-პატრონობის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ქვეპროგრამების ხარჯები.

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 26 668,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11 307,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 42,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს - 16,7%-ს.

ამ სფეროში გაერთიანებულია წყლის სისტემების განვითარების, გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის, მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციის, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის (სკვერები და მოსაცდელეები), მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 640,8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 607,7 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 98%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 2,4%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ქვეპროგრამების ხარჯები.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 8 899,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 271,9 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 81,7%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 10,7%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის, კულტურის სფეროს განვითარების, კულტურული და სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 12 054,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 10 832,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 89,9%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში -16%-ია.

ამ სფეროში გაერთიანებულია სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობის, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის, ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსება.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 908,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 368,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 81,4%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში - 3,5%-ია.

აღნიშნული სფერო მოიცავს ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის, ერთჯერადი სოციალური დახმარების, ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარების, ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობის, მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს ხელშეწყობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები

პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 33 167,8 ათასი ლარით, გეგმის (58 747,8 ათასი ლარი) - 56,5%;

პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 397,8 ათასი ლარით, გეგმის (6 229,3 ათასი ლარი) – 70,6%;

პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 10 832,5 ათასი ლარით, გეგმის (12 054,1 ათასი ლარი) - 89,9%;

პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში 7 271,9 ათასი ლარით, გეგმის (8 899,3 ათასი ლარი) - 81,7%;

პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3 975,8 ათასი ლარით, გეგმის (4 548,9 ათასი ლარი) – 87,4%;

პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 8 287,7 ათასი ლარით, გეგმის (10 074,6 ათასი ლარი) - 82,3%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	ათასი ლარი	
	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი
შემოსულობები	30,675.8	40,184.8
შემოსავლები	30,675.8	36,704.1
არაფინანსური აქტივების კლება	-	3,480.7
გადასახდელები	57,700.6	27,898.1
ხარჯები	31,891.2	22,015.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,809.4	5,882.6
ნაშთის ცვლილება	-27,024.8	12,286.7

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი მთლიანობაში 72 178,1 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 12 286,7 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 30 675,8 ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 40 184,3 ათ.ლარი, ანუ გეგმის 131% (დანართი N1).

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
შემოსულობები	30,675.8	40,184.8	9,509.0	131.0
შემოსავლები	30,675.8	36,704.1	6,028.3	119.7
არაფინანსური აქტივების კლება	-	3,480.7	3,480.7	-

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 30 675,8 ათასი ლარი, ფაქტობრივად 36 704,1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 119,7% და მთლიანი შემოსულობების (40 184,8 ათასი ლარი) - 91,3% შეადგინა.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 27 150,3 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 22 936,0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 214.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17 662,1 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 17 226,3 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 34.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 22,4 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 379,0 ათასი ლარი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის ფაქტი - 15 588,7 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადიდან 2 073,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2025 წლის 6 თვის ფაქტი - 15 209,7 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 9 488,2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 7 347,3 ათასი ლარი) შედარებით 2 140,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია მიზნობრივი ტრანსფერი - 642,3 ათასი ლარი: მათ შორის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 237,5 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.25წ.) - 342,5 ათასი ლარი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N589 20.03.26წ.) - 11,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფისთვის - 50,5 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.25წ.).

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 5 100,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 8 911,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 174,7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 6 936,5 ათასი ლარი) შედარებით 1 975,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 750,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 300,0 ათასი ლარი) 206,5%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 3 742,1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6 თვის ფაქტი - 2 888,9 ათასი ლარი) შედარებით 853,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

რენტის სახით მიღებულია 1 008,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (800,0 ათასი ლარი) 126% და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 793,6 ათასი ლარი) შედარებით 214,6 ათასი ლარით მეტია, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

მოსაკრებელზე მოდის 742,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 265,6 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მოზილებულია 944,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (960,0 ათასი ლარი) 98,4%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 885,8 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 495,3 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 450,2 ათასი ლარი) შედარებით 45,1 ათასი ლარით მეტი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 363,5 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 377,4 ათასი ლარი) შედარებით 13,9 ათასი ლარით ნაკლები და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 27,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან, მიღებულია 59,0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 38,9 ათასი ლარი) შედარებით 20,1 ათასი ლარით მეტი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 044,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (1 780,0 ათასი ლარი) 171%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 2 297,0 ათასი ლარი) შედარებით 747,5 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 2 701,6 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 110,3 ათასი ლარი, შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 232,6 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 171,9 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 146,8 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 9,4 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1,7 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 6,4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 7,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან სულ მიღებულია 3 480,7 ათასი ლარი: სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5,7 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის გაყიდვიდან 7,4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან 3 467,6 ათასი ლარი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებულია 470,0 ათასი ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 2

966,9 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 30,7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჯგუფში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4 022,6 ათასი ლარი, გეგმის (5 166,8 ათასი ლარი) 78%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 14,4%-ს.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 11 088,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 420,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 31%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 12,3%-ს.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 3 792,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 089,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 55%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7,5%-ს.

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 21 487,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 705,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 27%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20,5%-ს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 831,5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 816,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 98,1%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 3,0%-ია.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 5 156,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 932,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 76 %. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 14,1%-ია.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 8 671,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 107,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 82%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 25,5%-ია.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 505,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 803,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 53%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,9%-ია.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2026 წელს 6 თვეში გადასახდელების შესრულების 48,3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა (დანართი N2). 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თანხობრივ ჭრილში (2025 წლის 6 თვესთან - 28 162,6 ათასი ლარი) დახარჯულია 264,4 ათასი ლარით ნაკლები.

2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 57 700,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 27 898,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 48,3%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 31 891,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 22 015,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 69% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78,9%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25 809,4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 882,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 22,8% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 21,1%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 27 898,1 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3 388.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 914.1 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 86%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.2%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 7 734.2 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 459.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 57,7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 20.3%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 17 258.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 022.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 75,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 59.2%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 72,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 69.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 799.6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 739.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 639.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 811.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 30,7%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.7%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის
კოდების მიხედვით**

პროგრამული კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათასი ლარი			
		2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	70.0	19.1	50.9	27.4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	22,618.9	4,671.1	17,947.9	20.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	514.4	12.2	502.2	2.4
04 00	განათლება	869.9	227.1	642.8	26.1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,732.0	950.7	781.4	54.9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.2	2.4	1.8	57.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	25,809.4	5,882.6	19,926.8	22.8

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით 6 თვეში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ✓ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 125,7 ათასი ლარით, გეგმის (32 576,5 ათასი ლარი) - 28%;
- ✓ პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 089,8 ათასი ლარით, გეგმის (3 792,3 ათასი ლარი) – 55,1%;
- ✓ პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7 107,7 ათასი ლარით, გეგმის (8 671,6 ათასი ლარი) - 82%;
- ✓ პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში 3 932,4 ათასი ლარით, გეგმის (5 156,0 ათასი ლარი) - 76,3%;
- ✓ პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 619,8 ათასი ლარით, გეგმის (2 337,3 ათასი ლარი) – 69,3%;
- ✓ პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 022,6 ათასი ლარით, გეგმის (5 166,8 ათასი ლარი) - 77,9%.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია;
2. მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია;

3. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
4. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
5. მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	10,172.4	13,882.2	15,769.2	17,635.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	-	1,852.2	3,369.2	4,565.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3,400.0	3,640.0	3,700.0	3,750.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	2,070.0	2,100.0	2,140.0	2,160.0
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	100.0	100.0	100.0
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,700.0	2,300.0	2,550.0	2,600.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,205.0	1,230.0	1,250.0	1,270.0
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,697.4	2,660.0	2,660.0	3,190.0

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 01) - მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას. განხორციელდება არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული და ამორტიზებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება, ტროტუარების, ბორდიურების მოწყობა, გზების მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაცია, საგზაო ნიშნების და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი;

წყლის სისტემების განვითარება (კოდი 02 02) - წყლის სისტემების განვითარება კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალმომარაგების არსებული სისტემების მოვლა-პატრონობა, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (კოდი 02 03) - მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილების და კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია.

მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (კოდი 02 04) - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტი, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (კოდი 02 05) - განხორციელდება სატრანსპორტო სერვისის უზრუნველყოფა.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 06) - მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები და მოსაცდელები) და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (კოდი 02 09) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი გარემოს მდგრადი განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - ღია/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, მწვანე საფარის გაზრდა, უსაფრთხო გარემო და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური სისტემის დანერგვა მთელ ტერიტორიაზე.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;
2. მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება;
3. მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები;
4. მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	7,860.0	8,260.0	8,970.0	9,320.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7,080.0	7,340.0	8,000.0	8,300.0
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	630.0	720.0	770.0	820.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	150.0	200.0	200.0	200.0

დასუფთავება და ნარჩენების გატანა (კოდი 03 01) - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 24 ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვება და გატანა ქ. კასპის ნაგავსაყრელზე; ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სიგრძის საზღვრე არხებისა და ჭეხის გაწმენდა წვიმის დროს ნიაღვრისაგან ჩამოტანილი ნარჩენებისაგან; ზამთარში, თოვლის გამო, გზებზე ტექნიკური მარილის მოყრა.

მწვანე ნარგავების გაშენება (კოდი 03 02) - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ჩატარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა; განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირების გაცეღვითი სამუშაოები.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები (კოდი 03 04) - გათვალისწინებულია მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწყურეოდ დარჩენილი ცხოველების დეჰუმეტიზაციის (ჭიაზე დამუშავება), დაჭერა-იზოლაციის, სტერილიზაციის, კასტრაციის, ვაქცინაციის (ანტირაბიული) და იდენტიფიკაციის (დანომრილი საჭდის ყურზე დამაგრება) მომსახურების შესყიდვა.

განათლება (04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;
2. მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	16,970.0	16,955.0	17,035.0	17,055.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	16,910.0	16,890.0	16,970.0	16,990.0
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	60.0	65.0	65.0	65.0

სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 04 01) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის, სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარიული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.

ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა (კოდი 04 04) - გათვალისწინებულია ყოველი სემესტრის ბოლოს საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოთი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)

გათვალისწინებულია კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენთა (ბავშვები და მოზარდები) სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა;

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;
2. მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;
3. მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	6,727.0	6,902.0	7,452.0	7,452.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,087.0	3,170.0	3,190.0	3,190.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,640.0	3,732.0	4,262.0	4,262.0

სპორტის სფეროს განვითარება (კოდი 05 01) - მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია ფეხბურთის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, სპორტის სხვადასხვა სახეობის, რაგბის, საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 05 02) - გათვალისწინებულია კულტურის და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურის დაწესებულებების, მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა;
 მუზეუმების ხელშეწყობა;
 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;
 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. ამასთან, გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა, მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

1. მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
2. მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;
3. მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;
4. მიზანი 6 - წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,125.6	5,698.6	5,938.6	5,968.6

პროგრ ამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპრო გრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნო ზი	2029 წლის პროგნო ზი	2030 წლის პროგნო ზი
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,010.0	2,320.0	2,530.0	2,530.0
06 02	სოციალური დაცვა	3,115.6	3,378.6	3,408.6	3,438.6

ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01) - გათვალისწინებულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის - ეკონომიურად გაჭირვებული და სხვა მძიმე ოჯახური პირობების მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით;

სოციალური დაცვა (კოდი 06 02) - გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებულ პირთა უზრუნველყოფა უფასო კვებით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სხვა სოციალური პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტური მუნიციპალური მომსახურების სისტემის დანერგვის და მუნიციპალური მომსახურების უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე, ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალური არქივი, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება, მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები;

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგრნოზი	2029 წლის პროგრნოზი	2030 წლის პროგრნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	11,439.0	12,081.0	12,833.0	13,534.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	11,044.0	11,686.0	12,438.0	13,139.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	395.0	395.0	395.0	395.0